

შპს „იჯი გრუპ“

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, განასხვავოს ერთმანეთისგან მენეჯმენტისა და აუდიტორთა პასუხისმგებლობები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იჯი გრუპ“ (შემდეგში კომპანია) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში. მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც ნათლად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის მიერ ჩატარებული ქმედებების შედეგებზე, ფულადი ნაკადის მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშზე ზემოთაღნიშნული წლის ბოლოსთვის, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის დაცვით (მსს ფასს). ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- ამოირჩიოს შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;
- მსს საერთაშორისო სტანდარტის თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში. მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:
- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური და ხარისხიანი სისტემა კომპანიაში;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ჩანაწერების აღრიცხვა შესაბამისი სიზუსტით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დარწუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-ების დაცვით;
- გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დაიცვას კომპანიის აქტივები;
- აღმოფხვრას სხვადასხვა დარღვევები.

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, მენეჯმენტის მხრიდან 2019 წლის 25 სექტემბერს დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ.

დირექტორი

დავით დოლიძე

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, განასხვავოს ერთმანეთისგან მენეჯმენტისა და აუდიტორთა პასუხისმგებლობები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იჯი გრუპ“ (შემდეგში კომპანია) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში. მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც ნათლად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის მიერ ჩატარებული ქმედებების შედეგებზე, ფულადი ნაკადის მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშზე ზემოთაღნიშნული წლის ბოლოსთვის, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის დაცვით (მსს ფასს). ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- ამოირჩიოს შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;
- მსს საერთაშორისო სტანდარტის თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში. მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:
- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური და ხარისხიანი სისტემა კომპანიაში;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ჩანაწერების აღრიცხვა შესაბამისი სიზუსტით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-ების დაცვით;
- გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დაიცვას კომპანიის აქტივები;
- აღმოფხვრას სხვადასხვა დარღვევები.

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის, მენეჯმენტის მხრიდან 2019 წლის 25 სექტემბრის დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ.

დირექტორი



დავით დოლიძე



სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	5
2018 წ. 31 დეკემბრის დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება.....	6
2018 დასრულებული წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	6
2018 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	7
ზოგადი ინფორმაცია.....	8
ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	8
განცხადება შესაბამისობის შესახებ	8
ოპერაციები უცხოურ ვალუტაში	9
ფული და ფულის ეკვივალენტები.....	9
ამონაგების აღიარება.....	9
ძირითადი საშუალებები.....	10
არამატერიალურ აქტივები.....	10
აქტივების გაუფასურება	10
იჯარა	11
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	12
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	12
სავაჭრო ვალდებულებები	12
ბანკის სესხები და საბანკო გარანტიები.....	12
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები	13
ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის.....	13
1. ამონაგები	13
2. სხვა შემოსავალი.....	13
3. ფინანსური დანახარჯები.....	14
4. დაბეგვრამდე მოგება.....	14
5. თავის მხრივ ადმინისტრაციული ხარჯები შედგება:.....	14
6. მოგების გადასახდის ხარჯი.....	15
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	15
8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი.....	16
9. ძირითადი საშუალებები.....	16

10. არამატერიალური აქტივები.....	16
11. სავაჭრო ვალდებულებები.....	17
12. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება.....	17
13. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები.....	17
14 კაპიტალი	17
15. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები.....	18
16. პირობითი ვალდებულებები	18
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	18
18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	18

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის

	შენიშვნა	2018 წელი ლარი
მიმდინარე აქტივები		
ფულადი სახსრები	15	212,362
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	610
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	8	7,785,387
სულ მოკლევადიანი აქტივები		7,998,359
წინასწარ გადახდილი გადასახადები		469,179
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	9	28,961
არამატერიალური აქტივები	10	75,559
სულ გრძელვადიანი აქტივები		104,520
სულ აქტივები		<u>8,572,058</u>
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	11	9,490,042
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		
ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის		
გადასახდელი ხელფასები		25,891
სხვა ვალდებულებები (მიღებული ავანსები)		64,821
სულ ვალდებულებები		9,580,754
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		-1,008,696
სულ კაპიტალი		-1,008,696
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		<u>8,572,058</u>

დირექტორი

დავით დოლიძე

მთ.ბუღალტერი

აკაკი ჩხიკვაძე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის

	შენიშვნა	2018 წელი ლარი
მიმდინარე აქტივები		
ფულადი სახსრები	15	212,362
საეაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	610
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	8	7,785,387
სულ მოკლევადიანი აქტივები		7,998,359
წინასწარ გადახდილი გადასახადები		469,179
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	9	28,961
არამატერიალური აქტივები	10	75,559
სულ გრძელვადიანი აქტივები		104,520
სულ აქტივები		<u>8,572,058</u>
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
საეაჭრო ვალდებულებები	11	9,490,042
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		
ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის		
გადასახდელი ხელფასები		25,891
სხვა ვალდებულებები (მიღებული ავანსები)		64,821
სულ ვალდებულებები		9,580,754
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		-1,008,696
სულ კაპიტალი		-1,008,696
სულ ვალდებულებები და		
საკუთარი კაპიტალი		<u>8,572,058</u>

დირექტორი



მთ.ბუღალტერი




დავით დოლიძე

ზაზა ჩხიკვაძე

2018 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

	შენიშვნა	ლარი
ამონაგები	1	9,409,492
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	4	-8,220,190
საერთო მოგება		1,189,303
სხვა შემოსავალი	2	42,122
მიწოდების ხარჯები	4	-424,283
ადმინისტრაციული ხარჯები	5	-1,777,886
სხვა ხარჯები	4	-37,953
სესხის პროცენტი		
მოგება ზარალი საკუროსო სხვაობიდან		
მოგება დაბეგერამდე	14	-1,008,696
მოგების გადასახადის ხარჯი		
მიმდინარე წლის მოგება		
სხვა არსაოპერაციო ხარჯი		
საგარანტიო ანარიცხი		
ბრენდ ნეიმის აქტივად აღიარება		
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		
ღივიდენდები		
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		-1,008,696

2018 დასრულებული წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	სულ კაპიტალი ლარი
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	0	-1,008,696	-1,008,696
წლის შემოსავალი			

2018 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	ლარი
შემოსავალი სულ	12,159,696
სულ ნედლეულის გასავალი:	10,560,095
საოპერაციო ფულის გასავალი	382,783
ფულის ნაშთი საოპერაციო საქმიანობიდან	1,216,818
შემოსავალი საინვესტიციო საქმიანობიდან	
ძირ. საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხა	
ძირ. საშუალებების შეძენა ნაღდ ფულზე	
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	
ნაშთი საოპერაციო და საინვესტ. საქმიანობიდან	1,216,818
შემოსავალი საფინანსო საქმიანობიდან	
გასავალი საფინანსო საქმიანობიდან	-62,031
წმინდა ფულის საფინანსო საქმიანობიდან	-62,031
სულ წმინდა ფული	1,154,787
საწყისი ნაშთი სალარო და ბანკი	0
პერიოდის სალდო	1,154,787
საკუროსო სხვაობის ეფექტი	-942,425
საბოლოო ნაშთი სალარო და ბანკი	212,362

ზოგადი ინფორმაცია

შპს „იჯი გრუპ“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2018 წლის 16 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს). კომპანიის დამფუძნებლები არიან შპს სმაილი ს/კ 205289105 და შპს „ამერიტეჯი“ ს/კ 204527609.

კომპანიის იურიდიული მისამართი არის: საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, ნოდარ ბოხუას ქუჩა, N2, სართული 3 ,

შპს „იჯი გრუპ“ არის მსხვილი მრავალარხიანი სამომხმარებლო ელექტრო ტექნიკის საცალო მოვაჭრე, დაარსებული საქართველოში. იგი გაყიდვებს ახორციელებს რამოდენიმე მაღაზიის მეშვეობით. შპს „იჯი გრუპ“ თავის მომხმარებლებს სთავაზობს პროდუქტების ოპტიმალურ კომბინაციას, დამხმარე მოწყობილობებსა და სერვისებს. 2018 წლის 31 დეკემბრის ბოლოსთვის დამფუძნებლებს შორის განსაზღვრული წილების განაწილება მოცემულია შემდგომში:

შპს „სმაილი“	50%,	შპს „ამერიტეჯი“	50%.
--------------	------	-----------------	------

გადაწყვეტილების მიღებისას მხარეებს გააჩნიათ თანაბარი უფლებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

განცხადება შესაბამისობის შესახებ

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის ” (მსს ფასს) (IFRS for SMEs) შესაბამისად. საქართველოში რეგისტრირებული კომპანია საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერებს აწარმოებს მასს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად. რადგანც პირველად ხდება კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნება უნდა ჩაითვალოს რომ ზემოდ ხსენებულ სტანდარტზე კომპანია გადავიდა დაარსების დღიდან ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია კომპანიის საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერების საფუძველზე. კომპანია თავის ოქმების კრებულებსა და ჩანაწერებს აწარმოებს ქართულ ლარში და ასევე ქართულ ლარში აწარმოებს ფინანსურ ანგარიშგებებს. ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მსს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობისგან, გამოიყენოს განსჯა, კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენებისას. ის სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი განსჯა და შეფასებებია გამოყენებული, ფინანსური ანგარიშგებების მომზადების დროს და მათი შედეგი მოცემულია სააღრიცხვო პოლიტიკასა და ახსნა-განმარტების შენიშვნებში.

ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი არის კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „კონვერტაციის ხარჯი“. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2018 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი: საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. სხვა მწარმოებლებზე ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და დღგ-ს გადასახადების გამოკლებით.

მიღებული ან მისაღები კრედიტ ნოტების აღიარება ხდება ხელშეკრულებაში ან შეთანხმებაში დათქმული პირობიდან გამომდინარე, ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, კერძოდ როდესაც მომწოდებელთან შედარებისას ფიქსირდება დავალიანების ნაკლებობა და დავალიანების შემცირების მიზეზი მომწოდებელს არ აქვს ახსნილი, ან როდესაც კრედიტ-ნოტი მიღებულია

ბონუსის სახით კრედიტ ნოტიდან შემოსავალი ემატება საოპერაციო შემოსავალს.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

სატრანსპორტო საშუალებები, სარეკლამო მასალები, ოფისის აღჭურვილობა, სამაღაზიე მოწყობილობა 20 პროცენტი, და იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა 20 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება კლებადი ნაშთის მეთოდით განიკვეთით 20 %. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება

ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება უდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. შპს “სმაილში” არ ფიქსირდება ფინანსური იჯარა

კომპანიაში ფიქსირდება ჩვეულებრივი იჯარა. იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო

გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება გაიანგარიშება „პირველი შემოსავალში-პირველი გასავალში“ („ფიფო“) მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და საბანკო გარანტიები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

შაბანკო გარანტიების საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე. ერთჯერადად დაქირავებულის მომსახურეობის ანაზღაურების ღირებულება განისაზღვრება ჩატარებული სამუშაოების მიღება ჩაბარების აქტის ან გასავლის ორდერის მიხედვით. გასავლის ორდერში მითითებულია შესრულებული სამუშაო და ღირებულება და თანხის მიღება. ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი დასტურდება შესაბამისი ხელმოწერებით.

ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის

კომპანიის მიერ გაყიდულ საქონელს ახლავს გარანტია, რომ მას საგარანტო ვადის განმავლობაში არ აღმოაჩნდება საწარმოო წუნი. გარანტია კი გაცემულია შპს „იჯ-ის“ მიერ მაგრამ საგარანტო მომსახურება ხორციელდება მწარმოებელი კომპანიის მიერ ავტორიზებულ სერვის ცენტრებში და შესაბამისად კომპანიის მიერ ასეთი ტიპის მომსახურების ხარჯად აღიარება არ ხდება. რაც შეეხება უშუალოდ იჯ-ის მიერ გაცემულ გარანტიას ასეთ შემთხვევაში საქონლის წუნის გამოსწორებას, ან გამოცვლას ჯგუფი ახორციელებს მყიდველზე გაცემული საგარანტო ფურცელის პირობების შესაბამისად. როდესაც ამონაგები აღიარდება, შეიქმნება ანარიცხები საგარანტო ვალდებულების შეფასებული სავარაუდო დანახარჯებისათვის.

1. ამონაგები

ამონაგები მოიცავს შემოსავლებს რეალიზაციიდან,

საქონლის გაყიდვა	ლარი 9,409,492
------------------	-------------------

2. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი შედგება დაზღვევის ანაზღაურებიდან და სხვადასხვა არასოეპერაციო შემოსავლებისგან

	ლარი
სხვა შემოსავალი სულ	42,122.46
სხვა არასოეპერაციო შემოსავალი	14,329.31
შემოსავალი დაზღვევიდან	27,793.15

3. ფინანსური დანახარჯები

	ლარი
დაზღვევა სულ	5,071.56
მარაგების დაზღვევა	2,784.05
ტვირთვის დაზღვევა	1,256.27
ზოგადი პასუხისმგებლობის დაზღვევა	472.22
თაღლითობა	559.02

4. დაბეგვრამდე მოგება

დაბეგვრამდე მოგების განსაზღვრისას ჩართულია შემდეგი ხარჯები:

	ლარი
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-8,220,190
მიწოდების ხარჯები	-424,283.03
ადმინისტრაციული ხარჯები	-1,777,886
სხვა ხარჯები	-37,952.8
	<u>-10,460,311</u>

5. თავის მხრივ ადმინისტრაციული ხარჯები შედგება:

	ლარი
შრომის ანაზღაურება	517,824.71
ტრანსპორტის ექსპლუატაციის ხარჯი	194.92
საიჯარო ქირა	855,742.74
ქონების გადასახადი	13,022.60
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	88,460.87
დაცვის მომსახურება	7,565.68

საწვავის ხარჯი	984.24
დაზღვევა	5,071.56
შეკეთება/მონტაჟი	7,519.10
შიდა ტრანსპორტირება	1,106.56
საკონსულტაციო ხარჯები	49,704.42
სამეურნეო ხარჯი	20,030.92
ცვეთა და ამორტიზაცია	7,218.38
მცირე ფასიანი ინვენტარი	6,790.54
საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები	0.02
მივლინების ხარჯი	5,489.88
ბანკის საკომისიო ხარჯი	179,650.23
სხვა საერთო ხარჯები	11,508.18
	<u>1,777,885.55</u>

6. მოგების გადასახდის ხარჯი

	ლარი
მიმდინარე გადასახადი	0
გადავადებული გადასახადი	(0)

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	ლარი
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	610

8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი

	ლარი
გასაყიდი საქონელი	7 784 715.13
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	671.87
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	<u>7 785 387</u>

9. ძირითადი საშუალებები

	ლარი	ლარი
სულ ძირითადი საშუალებები	32,671.88	
ოფისის აღჭურვილობა	5,582.47	
მაღაზიების აღჭურვილობა	6,388.98	
კომპიუტერული ტექნიკა	4,513.57	
სარეკლამო მასალები	2,542.37	
სატრანსპორტო საშუალებები	10,000.00	
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	3,644.49	
ძირითადი საშუალებების ცვეთა		3,710.80

10. არამატერიალური აქტივები

	ლარი
არამატერიალური აქტივები	79,066.75
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	3,507.58

11. სავაჭრო ვალდებულებები

	ლარი
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი	9,490,042

12. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება

კომპანიის დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ვალდებულება, რომელიც ეფუძნება მომსახურე პერსონალთან დადებულ ხელშეკრულებას შეადგენს:

2018 წლის ბოლოს 25850,53 ლარს (დაერიცხა 511128,35 ლარი , გაიცა 485237,82 ლარი)

13. ჩეულებრივი იჯარის ვალდებულებები

კომპანიას ჩეულებრივი იჯარით აღებული აქვს რამდენიმე სამაღაზიო და სასაწყობე ფართი.

იჯარის ხელშეკრულება საშუალო ვადაა ხუთი წელი.

ჩეულებრივი იჯარით გათვალისწინებული საიჯარო გადასახდელები, რომლებიც მიმდინარე წელს აღიარებულია ხარჯად შეადგენს 855472,74 ლარს

წლის ბოლოს ჯგუფს გააჩნია შეუქცევადი ჩეულებრივი იჯარის ვალდებულებების დაუფარავი ნაშთები, რომელთა დაფარვის ვადებია არ უგვიანსი მომდევნო თვე. საიჯარო ვალდებულებები ფიქსირდება 2018 წლის ბოლოს 131855,26 ლარის ოდენობით

14 კაპიტალი

ქვემოთ გთავაზობთ კაპიტალში ცვლილების დეტალიზაციას

	ლარი
საწესდებო კაპიტალი	0
განვლილი პერიოდის ზარალი	-1,008,696

15. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	ლარი
ფულადი სახსრები საღაროში	54,403
ფული საბანკო ანგარიშებზე	157,959
სულ:	212,362

16. პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები კომპანიას არ უფიქსირდება

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდეგ ანგარიშგების გამოქვეყნებამდე პერიოდში მოხდა კომპანიის დირექტორის შეცვლა თუმცა ამას სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა არ გამოუწვევია

18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებულ მხარეთა შორის ოპერაციები არ ფიქსირდება

შპს „იჯი გრუპის“ დირექტორი

დავით დოლიძე

15. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	ლარი
ფულადი სახსრები საღაროში	54,403
ფული საბანკო ანგარიშებზე	157,959
სულ:	212,362

16. პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები კომპანიას არ უფიქსირდება

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდეგ ანგარიშგების გამოქვეყნებამდე პერიოდში მოხდა კომპანიის დირექტორის შეცვლა თუმცა ამას სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა არ გამოუწვევია

18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებულ მხარეთა შორის ოპერაციები არ ფიქსირდება

შპს „იჯი გრუპის“ დირექტორი

დავით დოლიძე

